

გრიგოლ ჟორდანია

ალუბლის ტორტი

მოქმედი პირნი:

იუბილარი

პირველი სტუმარი

მეორე სტუმარი

მესამე სტუმარი

დედა

მამის აჩრდილი

(სადღესასწაულოდ მორთული მისაღები ოთახი.)

(სამი სტუმარი, სამოც წელს გადაცილებული ქალბატონები და იუბილარი სხედან მაგიდასთან. სტუმრებს, თავზე, დაბადების დღის სიმბოლოებიანი მუყაოს ყუთები აფარიათ. ქალაღდის ფეიერვერკებს ისვრიან, ჟრიამულია)

პირველი სტუმარი- აღარ იცის ამ საცოდავმა ხალხმა რა გააკეთოს, ესენი ალთას, ისინი ბალთას. ერი ღმერთის ანაბარაა.

მეორე სტუმარი-ანაბარაზე გამახსენდა, გაიგე ანაბრების პროცენტები დაუწევიათ.

პირველი სტუმარი-ვის? იმათ?

მეორე სტუმარი-ჰო, იმათ.

პირველი სტუმარი- აბა რას იზამდნენ, რა გეგონა?

მეორე სტუმარი-მე არაფერი არ მეგონა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეგრე მოხდებოდა... წინასწარ ვგრძნობდი, ხომ იცი როგორი ინტუიცია მაქვს,განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ანაბრებს ეხება და არამარტო...

პირველი სტუმარი- მე ინტუიციის არ მჯერა, ინტუიციას არის მკრეხელობა...

მეორე სტუმარი - და ეს რაც დღეს ხდება მკრეხელობა არ არის? (მესამე სტუმარს) არ მეთანხმები?

მესამე სტუმარი-(წიგნს კითხულობს, თავისთვის)არ მესმის და მომკალით, რატომ უნდა დაარქვას ბავშვს სახელი სხვამ?

მეორე სტუმარი-რომელ ბავშვს?

მესამე სტუმარი- ჩემი აზრით დედის და მამის გადასაწყვეტია რას დაარქმევენ თავიანთ შვილს!(იუბილარს) ხომ ასეა?

იუბილარი-დიახ...

მესამე სტუმარი-აი, ჭკვიანი ბიჭი. გილოცავ კიდევ ერთხელ.

იუბილარი- მადლობა, მმმმადლობა

მეორე სტუმარი-გუშინ თქვენც იგრძენით?

მესამე სტუმარი-მე უკვე მეძინა. მთელი დღეს ჩაფლული ვიყავი საქმეებში და კისერი თითქოს მომწყდა...

მეორე სტუმარი-რამდენიანი იქნებოდა?

მესამე სტუმარი-არ ვიცი მეძინათქო, ალბათ ოთხზე მეტი, მაგრამ რიცხვებს რა მნიშვნელობა აქვს მთავარია იყო. ფაქტია...

მეორე სტუმარი-ოთხზე ქვევით რომ არ იყო, ნამდვილად ვიცი...

პირველი სტუმარი-გვსჯის ხომ გეუბნებით, ამდენი უბედურება იმიტომ ხდება, რომ რწმენა დაკარგა ხალხმა, რწმენა! ჯერ სად ხართ? ეს ჯერ დასაწყისია. აცხოვნე უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯუარითა ბარბაროზთა ზედა ღმრთივ-დაცულს ერსა ჩუენსა მოანიჭე და საფარველსა ქუემე მისსა დაიცევ, რაითა ვიდტოდეთ. უფალო დიდება შენდა! ამინ!

ყველა-ამინ!

დედა-(კულისებიდან დაგვიანებით) ამინ და ამინ... შაქარი ვის რამდენი?

მესამე სტუმარი- ერთი და კიდევ კოვზის წვერი და არ მოურიო თუ შეიძლება... ცოტა რბეც, თუ გექნება...

პირველი სტუმარი-მე უშაქროს დავლევ.

მეორე სტუმარი-(იუბილარს)უნდა მაპატიო ამჯერადაც ხელცარიელი რომ მოვედი, შემდეგ წელს გამოვასწორებ აუცილებლად... როგორ მიყვარს თქვენი ოჯახი... ჩემი მეორე ოჯახი ხართ, იცოდე. საინტერესოა პირველი ვინ არის, მაგრამ მაინც... აი სულ ამხელა მახსოვხარ, მსუქანი წითელი ლოყებით, რაც შენ დაბადების დღეებზე დრო გვაქვს ნატარები... (დაფიქრდება) -ეჰ, რა დრო იყო, ახლა კიდევ ხალხს ლუკმა პურის ფული არ აქვს, ესენი კიდევ წურბელებივით სისხლს გვწოვენ, აღარ დაგვრჩა ბატონო სისხლი ვენებში. რა ენაღვლებათ?... ჩვენი ბრალია, ჩვენი. ადრე, მახსოვს, დედასავით შავგვრემანი იყავი, მუქი, მუქი ყავისფერი თვალები გქონდა, დიდი კეხიანი ცხვირი. ახლა გაქერავდი, თვალებიც გაგიცისფრდა, ცხვირი დაგიპატარავდა... საოცრებაა მამას როგორ დაემსგავსე... გახსოვს ცხონებული?

იუბილარი- დედა, კარგად მახსოვს, რა დამავიწყებს?

მეორე სტუმარი- კარგი კაცი იყო! მაღალი,დაკუნთული, შენსავით,რა განათლებული, რა ნაკითხი... ჩვენც ისეთ პატივს გვცემდა, აბა ის ხომ არ გინდა, აბა ეს, აბა ეს, აბა ის, აბა ის, აბა ეს...

იუბილარი-ვიცი დედა მიყვება ხოლმე(ღიმილით) მინდა რომ მას დედავემსგავსო

მეორე სტუმარი-ნეტა,ნეტა..მერე ბებია? რა ტორტებს აცხობდა, ბევრი, ბევრი ალუბლებით გამოტენილს.

იუბილარი- (სევდიანად)ალუბალი, ალუბალი

მეორე სტუმარი- აბა?! ოცკვერცხიანებს... ხანდახან თხუთმეტსაც, ერთხელ სამოცდახუთიანი გამოაცხო. იმის შემდეგ მე ეგეთი ტორტი აღარც გამისინჯავს... ისე კვერცხებზე გამახსენდა. გაიგეთ წინა სააღდგომოდ რამხელა პრემიები აუღიათ ამ ნაძირლებს. სამარცხვინოა, სამარცხვინო. ნეტა თუ კიდევ ვინმეს სჯერა ამათი სიტყვების. ხალხი ყველაფერს ხედავს თქვე სატანებო.

პირველი სტუმარი- ტფუი, ტფუი ტფუი, (მაგიდაზე აკაკუნებს)რეებს იმახი ბავშვის თანდასწრებით.

მეორე სტუმარი- უნდა იცოდეს! არჩევნებზე წასვლის ასაკი რომ მოუწევს, იცოდეს მართალის და მტყუანის გარჩევა.

იუბილარი- მე უკვე ცცამეტი წელია დავდივარ არჩევნებზე..

მეორე სტუმარი-უი მართლა?

პირველი სტუმარი-ეჰ როგორ გარბის დრო.

მეორე სტუმარი- ვის აძლევ ამ ცამეტი წლის განმავლობაში ხმას თუ საიდუმლო არ არის? თუმცა არ მითხრა... შენი არჩევანი შენი უფლებაა. (პაუზა) თვალის ჩაკვრა იცი?

იუბილარი- მარჯვენასი-კი, მარცხენასი-არა.

მეორე სტუმარი- იყოს მარჯვენა. მოდი, იცი როგორ მოვიქცეთ?! თუ ამათისტი ხარ ერთხელ ჩამიკარი თვალი, თუ იმათისტი-ორჯერ.

იუბილარი- მე არავის არ ვაძლევ ხმას...

მეორე სტუმარი-როგორ თუ არავის?

იუბილარი-არ ვიცი, ვის უნდა მივცე?

მეორე სტუმარი- ანუ რა გამოდის... არავისტი ხარ?

იუბილარი- ალბათ, ასეა.

მეორე სტუმარი- (ანერვიულდება)ახლა მომისმინე გულის ყურით. არავისტი, ეს, როგორც ცნება ბუნებაში არ არსებობს. ჩვენ, ადამიანები, ოდითგანვე, ყველანი, ვიღაცისტები ვართ. ჩვენი მშობლებიც ვიღაცისტები იყვნენ, იმათი მშობლებიც და ისინიც ვინც მილიონი წლის წინ დაიბადნენ, ეს ჩვენ სულში,აი ეს აქ არის(გულზე ადებს საჩვენებელ თითს) და აქ(საფეთქელზე ადებს)

პირველი სტუმარი- ისევე როგორც ღმერთი!

მეორე სტუმარი- დამპირდი!

იუბილარი- რას?

მეორე სტუმარი-დამიპრდი მეტქი!

იუბილარი- რას დაგპირდეთ?

მეორე სტუმარი- (ყვირილით) დამპირდი!

იუბილარი- (შეშინებული) გპირდებით, გპირდებით.

მეორე სტუმარი- რომ ოდესმე ვიღაცისტი გახდები. (პაუზის შემდეგ ოდნავ სიცილით) ოღონდ ამათისტი არა.

(შემოდის დედა)

დედა-რაზე კამათობთ ახალგაზდებო?

მეორე სტუმარი- არაფერზე, ცოტა პოლიტიკაზე წავიჭორავეთ.

დედა-სხვათაშორის ჩემი ბიჭი ხშირად დადის საპროტესტო აქციებზე?

მეორე სტუმარი-მართლა? რომელ აქციებზე?

იუბილარი-ახალგაზრდულ აქციებზე. (ამაყად) მოძრაობა „ამბ“

მეორე სტუმარი - ამბ? და რას ნიშნავს?

იუბილარი- ეგ ჯერ არ ვიცი, ახალი მისსსული ვარ.

მეორე სტუმარი-შეხედე შენ... მომწონს ახალი თაობის სულისკვეთება. მშვენიერია, არაჩვეულებრივია და თუ საიდუმლო არ არის მითხარი რას აპროტესტებთ, რისთვის იბრძვით?

იუბილარი-რა თქმა უნდა თავისუფლებისთვის!

მეორე სტუმარი-თავისუფლება არაჩვეულებრივია... თქვენი იმედი გვაქვს, თქვენი!

დედა- ჩემი დამოუკიდებელი ბიჭი.

იუბილარი- ახლა უკვე შეგვიძლია სადაც გვინდა იქ დავსხდეთ, სადაც გვინდა იქ დავდგეთ, სადაც გვინდა ვიმღეროთ.

მეორე სტუმარი-სადაც გინდათ?

იუბილარი-დიახ

მეორე სტუმარი -იმღეროთ?

იუბილარი-ასეა!

მეორე სტუმარი- საოცარია.

დედა- უმღერე შენი საყვარელი სიმღერა. ბუ და მელაზე რო იცი...

იუბილარი- კუ და მელაზე დედა... მოგვიანებით გთხოვ.

დედა- ეს შენი შაქრიანი, ესეც შენ... გასინჯეთ რა გემრიელია, აქაური არ არის.

პირველი სტუმარი- იქიდან ჩამოგიტანეს?

დედა- ჰო, და კიდევ ტანსაცმელები გამომიგზავნეს მაგრამ არ მეტევა. გადაგიწყობ თუ რამე მოგეწონება. ისეთი გამხდარი ხარ თვალებს არ ვუჯერებ. დიეტაზე იყავი?

პირველი სტუმარი- სად შემიძლია დიეტა?! ვიმარხულე და თან ცოტა ფიზიკური აქტივობა შევაშველე. წყლის აერობიკა.(ანახებს იღეთებს)

დედა- არ ძუნძულეზბდი?

პირველი სტუმარი- ხან ვძუნძულეზბდი, ხან უბრალოდ დავდიოდი, თან ცომეული და ტკბილი ამოვიდე. ამასაც ხო ხედავ უშაქროდ ვსვამ.

დედა- ვერც ამას და ვერც იმას, შაქრის გარეშე ვერ ვეკარები. რა აღარ ვცადე ვულკანის დიეტაო. მეტამორფოზული, თუ რაღაცა პროცედურებიო. არაფერი არ მშველის. ისეთი ალუბლის ტორტი გამოვაცხვე მოკვდები, ღმერთმა დაგიფაროს, არ გამისინჯავ?

პირველი სტუმარი-გასინჯვით ერთ ნაჭერს აუცილებლად. ვულკანს აქებენ. სხვათაშორის ახლა მეც გავიჭედე ერთ წონაზე.

მეორე სტუმარი- გავიჭედეზე გამახსენდა. ოთხი დღის წინ საკაბელომ ისე გამიჭედა, ვერცერთ გადაცემას ვერ ვუყურე, კინალამ ფანჯრიდან გადავხტი, ისე სულ ჭედავს ამ ბოლო დროს... აღარ შემიძლია... თქვენც გიჭედავთ ხოლმე? (იუბილარს სერიოზულად) რატო ხარ ერთ ადგილას გაშეშებული? შენც გაჭედილი ხო არ ხარ?

იუბილარი- (ლოგიკურად) დიახ გაჭედილი ვარ...

პირველი სტუმარი-გაჭედელი არ ვიცი, მაგრამ საერთოდ რამეს ჭამ? იუბილარს კი არა მიცვალელებულს გავხარ(ყველა არაბუნებრივად ისტერიულად იცინის)

იუბილარი-- არ ვიცი. ხან კი, ხან არა!

(რეკავს ტელეფონი)

დედა- ალო, გისმენთ. არა ჯერ არ მოსულა... მოვა, თქვა რომ მოვალო. გამოსული იქნება უკვე.

ყველა- რაო?

დედა-კარგიო.

მეორე სტუმარი- ძალიან კარგი.

დედა- (მესამე სტუმარს) რას კითხულობ ისეთ საინტერესოს, რომ ორი წუთით ვერ მოგვაქციე ყურადღება?

მესამე სტუმარი- მაპატიეთ, არაფერს ისეთს, „გასაღების ღია არხით გაცვლის, მატრიცული ალგორითმისა და პრაქტიკული სტრუქტურების გამოკვლევა და სინთეზი.“ წაკითხული გექნება...

დედა- ბავშვობაში, მაგრამ კარგად არ მახსოვს. გამახსენე რაზეა?

მესამე სტუმარი- გასაღებებზე...

დედა-ნამდვილი საოცრებაა!

მესამე სტუმარი- მეც მეორეჯერ ვკითხულობ, „რეპეტიტო ესტ მატერ სტუდიორუმ“... (იუბილარს) ხომ ასეა?

იუბილარი- ნამდვილად, ნამდვილად...

მესამე სტუმარი- შენ ხომ კარგად სწავლობ? რა ნიშნები გყავს?

იუბილარი- არა,მე, მე მოვრჩი უკვე სწავლას დიდი ხანია...

პირველი სტუმარი-ეჰ, როგორ სწრაფად გარბის დრო!

მესამე სტუმარი- აბა რას საქმიანობ?

იუბილარი- ვხატავ...

მესამე სტუმარი- მართლა? აბა გვანახე შენი ნახატები...

იუბილარი- იცით მე ჯერ...

დედა- (მკაცრად)გამოიტანე ის, ის შენი დაბადების დღე რომ დახატე. (იუბილარი გადის რეკავს კიდევ ტელეფონი)

დედა- ალო, დიახ გისმენთ, არა, არა ჯერ კიდევ არ მოსულა სამწუხაროდ.

(გამოდის იუბილარი და გამოაქვს დიდი ტილო. ზედ ბავშვის ნახატია ჯოხებით დახატული სახლი, მზე, და ადამიანი მოწყენილი სახით. მესამე სტუმარი ნელა დგება, საქმიანად. უახლოვდება დინჯად ნახატს. მარჯვენა ხელის იდაყვით ჩამოყრდნობილია მარცხენა ხელს. თითებით ნიკაპს იფხანს. თავს ხან მარცხნივ გადააგდებს, ხან მარჯვნივ.)

მესამე სტუმარი- უაღაა. პერფექტო, აი მესმის კონტენპორარი არტ. ვაი, ვაი

დედა- ხომ ლამაზია?

მესამე სტუმარი- შეუდარებელია! ნიჭი გქონია. მოიცა, კიდევ ერთხელ შევხედო.

დედა-სკამი ხომ არ მოგიტანო?

მესამე სტუმარი-არაა საჭირო, მაღლობა (ხან ერთი ნაბიჯით უკან იხევს, ხან ისევ უახლოვდება თითქოს ცდილობს უკეთ დაინახოს) აი ეს არის თანამედროვე ხელოვნება! შემოქმედების როგორი ინდივიდუალური კონცეფციაა, როგორ ებრძვის ფიგურატულ ხელოვნებას და როგორ შთანთქმავს ბუნების კულტს, როგორც თავის დროზე კრონოსმა შთანთქა საკუთარი შვილები, რომ სამუდამოდ გაბატონებულიყო. ამ ხაზებს შეხედე, ამ კონტურებს. რა ფერთა გამაა. თითქოს გამშვიდებს, თან აღგაზნებს და ზეცაში გსტყორცნის სიამოვნების ელვა, რომელიც მისი ფუნჯიდან ამ უბრალო თეთრ ტილოზე დაიღვარა, როგორც თეატრი ტრაგედიისა და კომედიისა. აპლოდისმენტები ქალბატონებო (ემოციებისგან დაღლილი ეშვება სკამზე და ხუჭავს თვალებს)

დედა-(შვილს) რა უნდა თქვა?

იუბილარი-რა?

დედა-მაა...

იუბილარი-მამა...

დედა-მადლ..

იუბილარი-აჰ, მადლობა, მაგრამ...

დედა- ზუსტად მაგას ვეუბნები ხოლმე...

პირველი სტუმარი-გეტყობა, რომ ღმერთისგან ნაბოძები ნიჭი გაქვს, ამას იცოდე გაფრთხილება სჭირდება. როგორც მოგცა, ისევე უკან წაგართმევს თუ არ გაუფრთხილდი. ხომ იცი?

იუბილარი- დიახ ვიცი!

პირველი სტუმარი-ჩვენი მეზობლები რო იყვნენ ხომ გახსოვს?

იუბილარი-რომელი?

პირველი სტუმარი- ძმები...

იუბილარი-დიახ მმმახსოვს.

პირველი სტუმარი-ხოდა ერთ ამბავს მოგიყვები. მამამ ანდერძით ბევრი ფული დაუტოვა სათითაოდ, სამივე შვილს. ზუსტი თანხა აღარ მახსოვს. ბევრი ფული ჰქონდა, რას საქმიანობდა ზუსტად ეგეც არ მახსოვს. თქვენ ხო არ გახსოვთ?

მეორე სტუმარი-თან მახსოვს, თან არა.

პირველი სტუმარი-რა მნიშვნელობა აქვს. თითოეულს თანაბრად. ერთმა შვილმა გართობაში, ალკოჰოლსა და პროსტიტუციაში, ანუ ბოზებში დახარჯა, მეორემ ბანკში შეინახა და იმის მერე ხელი არ უხლია, მესამემ დააბანდა და უფრო ბევრი ფული იშოვნა...

იუბილარი-მერე?

პირველი სტუმარი-მერე სამივე ავარიაში დაიღუპა. ღმერთმა ნათელში ამყოფოთ.

მეორე სტუმარი-ნამდვილად, ერთ ღამეში სამი ძმა.

იუბილარი-მე, მე ვერ მივხვდი.

პირველი სტუმარი-ეს იმიტომ მოგიყევი, რომ იცოდე, ყველაფერი ღვთის ნებაა. სიკვდილიც და სიცოცხლაც.

იუბილარი-დიახ.

მესამე სტუმარი- (ახელს თვალს ისევ უახლოვდება ნახატს)სიკვდილი და სიცოცხლე. ზოგჯერ როგორი რთულია გაუგო ღმერთს. ეს რა არის?

იუბილარი-ეს? მზე..

მესამე სტუმარი-მზეე.. ეს?

იუბილარი- ეს სახლი და ორი ფანჯარა აქვს.

მესამე სტუმარი-კარი არ აქვს, ალბათ მეორე მხრიდან ექნება, ან იქნებ მხოლოდ შიგნიდან აქვს კარი? შეიძლება მთელი არსიც ამაშია. ეს რაღაა?

იუბილარი- ეს მე ვარ და დაბადების დღის ტორტი მიჭირავს.

მესამე სტუმარი-რისი ტორტია?

იუბილარი- შოკოლადის

დედა- ა-ლუ-ბლის!

მესამე სტუმარი-ესეიგი ალუბლის, გასაგებია... და მოწყენილი სახე რატომ გაქვს?

იუბილარი- ჯერ ღიმილის დახატვა არ ვიცი..

მესამე სტუმარი-არაუშავს, ისწავლი, ჯერ დამწყები ხარ... ჯერ პატარა ხარ...

პირველი სტუმარი- უნდა განავითარო ეს ნიჭი, ამიტომ საჭიროა დედას დაუჯერო, ჩვენ დაგვიჯერო... უფროსი ხალხი ვართ, მეტი გვინახავს, მეტი გვსმენია...

მეორე სტუმარი- არა, ნამდვილად კარგი ნახატია, მაგრამ მე საერთოდ არ მომწონს თანამედროვე მხატვრები. აიღებენ რაღაც საღებავებს, მიასხმენ, მოასხამენ, აქეთ, იქით, მერე ხელოვნებას ეძახიან და მილიონები ღირს. და იმასაც ვინ? ვინ ყიდულობს ჩვენ ხარჯზე მცხოვრები ეშმაკები. ჩვენ ვიკითხოთ, ჩვენ...

(მესამე ზარი) დედა-- ალო, დავუცდით დავუც... ა, უი, შემეშელა, ეხლავე, 50 გრამი ხმელი ყველი, ნახევარი კბილი ნიორი, ზეითუნის ზეთი. გაზიანი სასმელი სამი სუფრის კოვზი, კიკი მაღალ ცეცხლზე. ჯოჯოხეთის ცეცხლზე (ხმამაღლა იცინის და ყველა ყვება, იუბილარის გარდა)

(სამი მძიმე კაკუნი კარზე, ყველა შემდება, ბუზის გაფრენი ხმაც არ ისმის. ნელა ჩამოიწევა ურდული და სიბნელეში კაცის სილუეტი ჩანს. ხელში დიდი საჩუქრის ყუთი უჭირავს. აუჩქარებლად შემოდის ოთახში არავის არ უყურებს. სხვები ყველა თვალს აყოლებენ. თითქოს ყველა შეშინებულია. სკამზე დინჯად ჯდება და საჩუქარს მაგიდაზე დებს. რამდენიმე წამიანი სულისშემძვრელი სიჩუმეა რომელსაც დაარღვევს ტელეფონის ზარი. დედა ტელეფონთან მიდის ნელა, თან თვალს არ აცილებს სტუმარს)

დედა- ალო, დიახ მოვიდა. გმადლობ.

(ნელა კიდეებს ყურმილს, სტუმარი დგება და ისევ დინჯი ნაბიჯებით გადის, ისევ ყველა ჩუმად არის, სანამ სიჩუმეს არ დაარღვევს იუბილარი)

იუბილარი- შეიძლება გგავხსნა საჩუქარი? (ამ სიტყვებზე ყველა გამოფხიზლდება წამოიშლებიან და საჩუქრის გარშემო მივარდებიან)

დედა- გახსენი, ოღონდ ფრთხილად. (თვალეებს ხუჭავს. ხელს ადებს თითქოს უნდა რომ იგრძნოს შიგნით რა დევს)

(იუბილარი საჩუქარს ფრთხილად ხსნის, ყუთიდან უზარმაზარი სინათლე ამოვარდება)

დედა-ეს რა საოცრებაა...!

მესამე სტუმარი-თვალეებს მჭრის, ვერაფერს ვხედავ...

პირველი სტუმარი-ღმერთო, შენ გვიშველე. (პირჯვარს იწერს)

მეორე სტუმარი- რამხელაა...

მეორე სტუმარი-როგორ კაშკაშებს?!

მესამე სტუმარი- ფრთხილად! არ დააფრთხოთ!

იუბილარი- ეეესეც ის არის?

დედა- მგონი... კიდეც უკეთესი...

პირველი სტუმარი-უკეთესი, ბევრად უკეთესი და ბევრად მშვენიერი, ღმერთო ჩემო
თვალს ვერ ვწვეტ.

მესამე სტუმარი-დიდხანს არ უყუროთ, შეჩვევა იცის!

მეორე სტუმარი-მართლა?

მესამე სტუმარი-მემგონი, ამასწინად წავიკითხე, ერთი კაცი მიჩვევია და ველარ
წყდება.

მეორე სტუმარი-რა ეღირობა?!

პირველი სტუმარი-შეიძლება შევეხო?

დედა-რა თქმა უნდა, არა!

(იუბილარს ხელი მიაქავს ასაღებად)

დედა- (სწრაფად თავსახურს აფარებს) ჯერ არა, ჯერ ამისთვის პატარა ხარ, ცოტა
უნდა გაიზარდო... ახლა არაფერში გჭირდება. ვერაფერში გამოიყენებ... მზად უნდა
იყო ამ საჩუქრის ასაღებად.

იუბილარი- კი, კი მაგრამ...

დედა- არავითარი მაგრამ, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ თემაზე, თუ გახსოვს.?

იუბილარი-მახსოვს, მაგრამ...

დედა-არავითარი მაგრამთქო. გაიზრდები და აიღებ...

პირველი სტუმარი-დაუჯერე დედას, შენზე უკეთესად იცის როდის გამოგადგება.

(დედა იღებს საჩუქარს და კარადის თავზე, რამდენიმე ზუსტად იგივენაირი ყუთის
ზემოდან შემოდებს. ყველა ჯდება და ერთი წუთის განმავლობაში ჩუმად
მისჩერებიან საჩუქარს)

მესამე სტუმარი-(სხვათაშორის არღვევს დუმილს) (იუბილარს) რა მითხარი რას
ვსაქმიანობო?

იუბილარი- ვხატავ.

მესამე სტუმარი- მართლა?

იუბილარი- დიახ! თქვენ ხომ...

მესამე სტუმარი- (აწყვეტინებს) (დედას)კარგად ხატავს?

დედა- ნიჭიერია, შენ ხომ...

მესამე სტუმარი-(აწყვეტინებს)ხატვა კარგია... მაგრამ საუკეთესო თუ არ ხარ არაფერი გამოგივა, ეს ხომ იცი?

იუბილარი-ვიცი...

მესამე სტუმარი-ჩემი გამოცდილებიდან გეტყვი, რომ ხატვით ფულს ვერ იშოვნი.

იუბილარი-თქვენც ხატავდით?

მესამე სტუმარი-არა, არა... სერიოზული საქმე გჭირდება, სტაბილური შემოსავალი. ჯიბის ფული რომ გქონდეს და ოჯახსაც დაეხმარო. სულ კი ვერ გამოგიცხობს დედა ალუბლის ტორტებს.

დედა-მეც სულ მაგას ვეუბნები. მაგრამ ვინ მიჯერებს...

იუბილარი- (იცინის) ძალიან კარგი თუ არ გამომიცხობს.

დედა-როგორ თუ ძალიან კარგი?

იუბილარი-არ ვგიჟდები ალუბლის ტორტზე.

დედა-არ გიჟდები ალუბლის ტორტზე?

იუბილარი-არ ვგიჟდები!

დედა-(ანერვიულებას იწყებს)კარგი, მოდი ნუ გავგიჟდებით, მაგრამ ხომ ძალიან, ძალიან გიყვარს?

იუბილარი-სსსსიმართლე რომ გითხრა, არ მიყვარს ალუბლის ტორტი.

დედა- რას ქვია არ გიყვარს?

მეორე სტუმარი-ხუმრობს ალბათ

იუბილარი- ააარა არ ვხუმრობ, არ მიყვარს...

დედა-რას ქვია გძულს?

იუბილარი- არ მძულს უბრალოდ, შოკოლადის მირჩევნია.

დედა-(ბრაზდება)გამაგებინე რას ნიშნავს სიტყვა „მძულს“?

იუბილარი--არ მითქვამს რომ მძულს...

დედა-ამდენი წელი გიყვარდა და დღეს შეგძულდა?

იუბილარი- არასდროს მყვარებია, შენ გიყვარდა დღედაღამ, ბებიას უყვარდა, ყველას უყვარდა მაგრამ მე...

დედა-ეგ სიტყვა აღარ გავიგო თორე...

პირველი სტუმარი-მეც მახსოვს, რომ ძალიან გიყვარდა.

დედა-(ტირილნარევი) ყოველ შენ დაბადების დღეზე მუხლჩაუხრელად ვშრომობ. ჯერ ბებია, ახლა მე... ჩემი ხელით ვკრეფ ალუბალს, ჩემი ხელით ვამზადებ ბისკვიტს, ჩემი ხელით ვრთავ ათასნაირი ფორმებით ხან ყვავილებით, ხან პეპლებით და ეს მეუბნება რომ სძულს...ბარემ ისიც მითხარი, რომ მეც გძულვარ.

მეორე სტუმარი-უყვარს, უყვარს, შეხედე, ხომ ხედავ როგორ უყვარს.ხო გიყვარს?

იუბილარი- ალბათ, მიყვარს

მეორე სტუმარი-აი ხომ ხედავ, დამშვიდდი.

დედა-(მშვიდდება)დედასაც უყვარხარ.

მესამე სტუმარი- რას გეუბნებოდი? ხო, ხატვით შენ ფულს ვერ იშოვი, ცოლი ხომ უნდა მოიყვანო? ბავშვები ხო უნდა გაზარდო? ჯიბეგაფხეკილი მხატვარი არავის, არაფერში სჭირდება. ხომ უნდა მოიყვანო?

იუბილარი-ვინ?

მესამე სტუმარი-ცოლი.

იუბილარი- ააარ ვიცი, შეიძლება კი, შეიძლება არა...

მესამე სტუმარი-შეყვარებული ხო გყავს?

იუბილარი- დიახ.

მესამე სტუმარი-გოგოა თუ ბიჭი?

იუბილარი-გოგო.

მესამე სტუმარი-ხოდა, ხომ უნდა მოიყვანო ცოლად?

იუბილარი-ალბათ, კი.

მესამე სტუმარი- ალბათ თუ კი?

იუბილარი- კი, კი.

დედა-ვინ შეყვარებული? რომელი შეყვარებული? რა შეყვარებული? ხომ მითხარი მორჩა, დამთავრდაო. მომატყუე?

იუბილარი- არ მომიტყუებხარ. ვაპირებდი და ვერ შევძელი.

დედა- ვერ შეძელი? და ამის შემდეგ შენ ხარ კაცი?

იუბილარი-მმმაპატიე...

დედა- ვაპატიო, ვაპატიო? თქვენ იცით ვინ არის მისი შეყვარებული? წარმოდგენა მაინც თუ გაქვთ როგორ გამოიყურება? აი ამხელა(ხელით ანიშნებს) მოჯღანული, უსწავლელი, თავქარიანი.

იუბილარი-გთხოვ.

დედა- რას მთხოვ , მითხარი რას?

იუბილარი-ეესე ნუ ლაპარაკობ...

დედა-როგორ ნუ ლაპარაკობ? რაც სიმართლეა იმას ვამბობ. უყვარს თურმე გაიგეთ? დადის თავ-აწეული გეგონება დედოფალი მყავდეს. აწევს თავს აბა რა იქნება, ჩემ შვილს უყვარს. თურმე.(იცინის)

იუბილარი- არ არის სიმართლე, კარგი გოგოა მასაც ვუყვარვარ.

დედა- დიდი შვებაა მასაც თუ უყვარხარ, ჯერ მშობლები უნდა ნახოთ. ერთმანეთზე უარესები. სიტყვა პასუხი არ იციან, წესიერი გამარჯობა არ იციან. უსაქმურები!

იუბილარი- კი მაგრამ არ იცნობ შენ მის მშობლებს, არც ის გოგო გყავს ნანახი. ესე როგორ ამბობ?

დედა- მართალია არ ვიცნობ, მაგრამ წარმომიდგენია რაც იქნება მთელი ეგ ოჯახი. დარწმუნებული ვარ. დედა ვარ შენი და გული მიგრძნობს. დედის გული არასდროს ცდება. ის გული რომელიც ახლა სადაცაა გასკდება.

პირველი სტუმარი-კარგი, დამშვიდდი არ უყვარს

დედა-დიახაც. არ უყვარს, არაა! გაერთო რამოდენიმე თვე და მორჩა, სანაგვეზე უნდა გადავადო. უნდა მოიშორო, როგორც ნარჩენი. უნდა ამოიგდო მაგ უტვინო ტვინიდან.

იუბილარი- მე გადავწყვიტე...

დედა- შენ ვერაფერს ვერ გადაწყვეტ. რა გინდა? ცოლად გინდა მოიყვანო? ბავშვები გინდა მისგან? ამხელეები(ხელით აჩვენებს) მახინჯები, გაუნათლელები, გაიხსენე ვინ იყო მამაშენი, გაიხსენე! გმირი!

იუბილარი-მახსოვს, მახსოვს.

დედა- და მაინც გინდა შეერთო და მთელი ცხოვრება ერთად გაატაროთ ჭირში და ლხინში? პატარა მახინჯი თითებით გეფერებოდეს ყოველ ღამე? ვინ გაუკეთებს ესეთ საჭმელებს, ვინ გადაუხდის ესეთ დაბადების დღეებს? ვის დაუძახებს ყოველდღე „დედა მოვრჩიო“?

მეორე სტუმარი-ნამდვილად, ვერავინ.

იუბილარი-გაიგე მინდა რომ მიყვარდეს, მინდა რომ მთელი ცხოვრება მასთან გავატარო. დიახაც, მინდა ის მიხდიდეს დაბადების დღეებს და დიახაც, მინდა მას ვეძახდე ყოველდღე „მოვრჩის“.

დედა-არააა, არაააა, შენ დედის სიკვდილი გინდა.

პირველი სტუმარი- ღმერთმა დაგიფაროს.

დედა-შეხედეთ, შეხედეთ! მის თვალებს დააკვირდით,ერთი სული აქვს სამ მეგობართან ერთად როდის შემოიგდებს ზურგზე ჩემს კუბოს. სად ყავს საერთოდ მეგობრები?! ერთი სული აქვს როდის ჩაწვება მიწაში დედამისი, როდის დააყრის დანანებით მიწას და შემდეგ ცრემლმორული გამოთვრება დედამისის ქელებში. შემდეგ იცი რას იზამს? იცით რას იზამს? წავა სახლში და იმ მახინჯს მოეფერება.

იუბილარი-ის მახინჯი არ არის და მორჩა! მე მას ცოლად შევირთავ!

დედა-ახლავე ხომ არ შეირთავდი?

იუბილარი- არა ახლა არა, შვიდ-ათ წელიწადში. ცოტა ფეხზე რომ დავდგები.

დედა-გესმით რას ამბობს? ფეხზე რომ დავდგებიო... შენ გგონია შვიდ წელიწადში დადგები ფეხზე?არ მაინტერესებს. შენ თუ ამა იზამ, შენ თუ ახლავე ჩემ თვალწინ არ დაურეკავ... იცოდე თავს არ ვიცოცხლებ, არცერთი წუთით.

იუბილარი-ახლა? დედა...

დედა-ახლავე. (იღებს დანას) კალამი მომიტანეთ?

მესამე სტუმარი-კალამი?

იუბილარი-კალამი რად გინდა?

დედა-ჩქარა კალამი... და ფურცელი.

მესამე სტუმარი- ახლავე, ახლავე... ლურჯი თუ წითელი?

დედა-ლურჯი.

მესამე სტუმარი-ფურცელზე უკან რაღაცეები აწერია და მაინც ამოვხიო?

დედა-წამიკითხე...

მესამე სტუმარი- ვიღებთ კრემს, ვამატებთ კარაქს, ალუბალს და შაქარს გემოვნებით...

დედა-არა ეგ დატოვე.

მესამე სტუმარი-მეორეზე ტელეფონის ნომრებია.

იუბილარი-ეგ არა!

დედა-ხო ეგ წამომიღე ჩქარა!

დედა- (შვილს) აიიი კალამი და ფურცელი! აი დანა! შენ თუ ახლავე არ დარეკავ, ყელში გავიყრი ამ დანას და ანდერძს დავწერ, რომ ჩემი სიკვდილის გამო მაინც დაშორდე იმ მახინჯს!

იუბილარი- არ შემიდლია, (ტირის) დღეს ხომ ჩემი დაბადების დღეა?

დედა- დაბადების დღე ხომ? ესეიგი არ დარეკავ ხომ?

იუბილარი-არ დავრეკავ!

დედა-კიდევ ერთხელ გეკითხები დარეკავ თუ არა?

იუბილარი- (ტირილს აგრძელებს) ნომერი არ ვიცი

დედა-შეხედეთ, შეხედეთ ყველაფერთან ერთად დედას ატყუებს. დარეკე ახლავე!

იუბილარი- არა, არა, არა, (მუხლებზე იჩოქებს)

(აგდებს დანას და კალამს და გარბის ოთახიდან, ყველანი ჩუმად შეშინებულები იყურებიან, შემორბის ხელში ავტომატი უჭირავს, და დეტონატორი ჟილეტი აცვია. ჰაერში ისვრის და ყვირისი)

დედა-მოგკლავ, გაგანადგურებ, ნაფლეთებად გაქცევ, შეგწვავ, მოგხარშავ, ხომ ხედავ ამ დეტონატორს. ათი წამი გაქვს დრო, რომ დარეკო, თორე ყველას აგაფეთქებთ.(რთავს წამზომს, ისმის საათის წიკწიკი)არავის ცოცხალს არ დაგტოვებთ მთელ ქვეყანას, მთელ სამყაროს ავაფეთქებ!

პირველი სტუმარი-დარეკე! ღმერთს გაფიცებ, დარეკე! არ მინდა სიკვდილი...

მესამე სტუმარი-ნუ გამწირავ! მეც მყავს შვილები.

მეორე სტუმარი- ხომ ვამბობდი, დაგვლუპავენ ეს ახალგაზრდები...

დედა- ათი! ცხრა!

იუბილარი-ვრეკავ, ვრეკავ!(აკანკალებული იღებს ტელეფონს) ააალო... მე ვარ... მადლობა..., დიდი მადლობა... მადლობ, შენც ასევე... მმმისმინე, რაღაც უნდა გითხრა ოღონდ არ გეწყინოს და არ გამიბრაზდე... არა... ერთად ველარ ვიქნებით... არა, არა,არა არ ვხუმრობ, არა..., დდედაჩემი არაფერ შუაშია... უბრალოდ, ველარ ვიქნებით... არ ვიცი რაღაც არ აგვეწყო ამ ბოლო დროს ურთიერთობა, სულ ვჩხუბობთ, ვკამათობთ, თან ჯერ ის შემოსავალი არ მაქვს, რომ ოჯახი შშევქმნა. მაპატიე, პირისპირ მინდოდა თქმა, მაგრამ ვერ შევძელი. ნნახვამდის...

(პაუზა)(ნელ-ნელა ყველა წამოდგა ფეხზე)

დედა- დედა, მომხსენი ეს დეტონატორი.ჩქარა, ჩქარა, თორემ დავიღუპეთ.

იუბილარი- პაროლი რა არის?

დედა-რა იქნება? შენი დაბადების დღის თარიღი.

პირველი სტუმარი-მოდი დავმშვიდდეთ, გავერთოთ... უფლის წყალობით ყველაფერი კარგად არის.

მეორე სტუმარი- წყალობაზე გამახსენდა, ერთი ჭიქა ცივი წყალი, რომ მომიტანო თუ შეგიძლია. ყინულებიც, თუ გაქვს...

დედა-ახალავე, (იუბილარს) უმღერე სტუმრებს ჩვენი საყვარელი სიმღერა.

იუბილარი- (იწყებს სიმღერას საოპერო მანერით) მოვიდა და მოგვიტანა ტკბილეული

კუმ და მელამ, ლანგრებით

მალე მე ხომ დავიძინებ

ჯადოსნური ჰანგებით

ყველანი- ბრავო, ბრავო.

პირველი სტუმარი-მართლაც ჯადოსნური იყო, თუმცა, მე ჯადოების არ მჯერა!

(შემოდის დედა წყლით ხელში)

მეორე სტუმარი-როგორ თუ არ გჯერა?

პირველი სტუმარი-აი ასე, არ მჯერა და მორჩა. ეგენი ყველანი თაღლითები არიან.

მეორე სტუმარი-მეც არ მჯეროდა, სანამ ჩემი თვალით არ ვნახე. ერთი კლასელი მყავდა, კარგად სწავლობდა, არაჩვეულებრივად. ფრიადოსანი იყო.მერე მედალზე დაამთავრა. ჩემს გვერდით იჯდა ხოლმე და მაწერინებდა. მერე გავიგეთ, თურმე სულების გამოძახება შეეძლო.

მესამე სტუმარი-რა სისულელეა!

მეორე სტუმარი- გეფიცებით, მეოთხე კლასში რომ გადავედით, გეოგრაფიის მასწავლებელი გარდაიცვალა, საწყალი, უკვე მოხუცი იყო, მაგის შვილიც ჩვენთან ასწავლიდა მუსიკას. ხოდა, როგორც კი ჩვენი მასწავლებელი მოკვდა. ამ ჩემ კლასელს მისი სული გამოუძახებია და გაკვეთილები ჩაუბარებია. დღეს ველარ მოვასწარიო. წარმოგიდგენიათ?

პირველი სტუმარი- ღმერთო დაგვიფარე

დედა-ყოველთვის ვამბობდი რაღაცა არსებობსთქო

მესამე სტუმარი-არ მჯერა და მომკალით.

მეორე სტუმარი-რა არ გჯერა, გეცოდინება კიდევაც ეგ გოგო, ოცდახუთ წელზე მეტი ბამბის ნაყინებს აკეთებდა და ყიდდა საბავშვო ბალებთან. მერე ტვინში სისხლი ჩაექცა უბედურს.

პირველი სტუმარი- აცხონოს...

დედა- შენ არ გასწავლა როგორ აკეთებდა?

მეორე სტუმარი-ბამბის ნაყინებს? არა

დედა- არა ჯადოს, თუ რაც ქვია.

მეორე სტუმარი-სულის გამოძახება. ვიცი, მაგრამ არასდროს მიცდია. მეშინია.

დედა-მოდო ვცადოთ! (აღტკინებული)

მეორე სტუმარი-(იმორცხვებს)საშიშია.

დედა-(იუბილარს) შენ რას იტყვი, შენი დაბადების დღეა.

იუბილარი- არ ვიცი, შენ როგორც გინდა.

დედა-ესე იგი-კი. მითხარი, რა დაგგჭირდება ამისთვის?

პირველი სტუმარი- მემგონი ცოდვაა, თუ არა? არ ვიცი ზუსტად. თქვენ ხო არ იცით?

მესამე სტუმარი-რა სისულელეა, რა სისულელეა.

მეორე სტუმარი-დაგგჭირდება: წყალი, ოღონდ ოთახის ტემპერატურის არა. ცხენის ძუა, გახეხილი ჯანჯაფილი და ახალ ამოსული ატმის კვირტი.

დედა-ახლავე.

(დედა გადის და მაშინვე შემოაქვს ყველაფერი ყუთით, თითქოს უკვე მზად ქონდა)

მეორე სტუმარი-შემოვუსხდეთ მაგიდას წრეზე.

დედა-(იუბილარს) მოდი! მოდი! გავერთობით. აბა ვისი სული გამოვიძახოთ?

პირველი სტუმარი- მარია ემილტონის, მსახიობი რომ იყო, იქაური.

დედა-მშვენიერია! როგორ მომწონდა ეგ ქალი.

მეორე სტუმარი-კარგი, დავიწყეთ.

მესამე სტუმარი-რა სისულელეა! რა სისულელეა!

მეორე სტუმარი-ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელები და ჩემთან ერთად გაიმეორეთ...

მეორე სტუმარი- ბანდუდედა რანდუდედა...

ყველანი-ბანდუდედა რანდუდედა...

მეორე სტუმარი-პირისუფლინ ფერიანტე...

ყველანი-პირისუფლინ ფერიანტე...

მეორე სტუმარი-ახტი და დახტი სადაც ხარო...

ყველანი- ახტი დახტი სადაც ხარო...

მეორე სტუმარი- მარია ემილტონის სულო...

ყველანი-მარია ემილტონის სულო...

მეორე სტუმარი-და სწრაფად ჩვენთან გაჩნდი, ოოოო...

ყველანი- და სწრაფად ჩვენთან გაჩნდი, ოოოო...

(უცებ სინათლე შემოვარდება სცენაზე. მხოლოდ იუბილარს შეუძლია განძრევა. სხვები თითქოს გაშეშდნენ. იუბილარი დგება და შუქისკენ მიდის. ჩნდება მამის აჩრდილი)

მამის აჩრდილი-გამარჯობა!

იუბილარი-გიგამრჯოს(შეშინებული)რომელი ხარ?

მამის აჩრდილი-აჰაჰაჰა, ვერ მიცანი?

იუბილარი-ვვვერა...

მამის აჩრდილი-აბა კარგად შემომხედე...

იუბილარი-მარია შენ ხარ?

მამის აჩრდილი-ვინ მარია?

იუბილარი-მარია ემილტონი.

მამის აჩრდილი-როგორ მიყვარდა ეგ ქალი!

იუბილარი- მარია ემილტონის ქმარი ხართ?

მამის აჩრდილი-ნეტავ ვყოფილიყავი!

იუბილარი- აბა ვინ ხართ, ცხადი თუ მოჩვენება?

მამის აჩრდილი- აბა კარგად დამაკვირდი...

იუბილარი-(უახლოვდება)ისევ ვერ გიცანით...

მამის აჩრდილი- (ხელს თვალებს ქვეშ იფარებს სახეზე) ახლაააა?

იუბილარი- ახლა მეცნობით, მაგრამ მაპატიეთ მაინც ვერ გცნობთ.

მამის აჩრდილი-მამა ვარ, მამაა!

იუბილარი-ვისი მამა?

მამის აჩრდილი-მამაშენი ვარ შვილო!

იუბილარი-მამა?

მამის აჩრდილი-დიახ მათამააა!(ჭეჭა-ქუხილი)

იუბილარი-სად ხარ?

მამის აჩრდილი- აქ!

იუბილარი- სად აქ?

მამის აჩრდილი- სწორი კითხვაა...

იუბილარი-შენ ხომ?

მამის აჩრდილი-დიახ,

იუბილარი-კი მაგრამ მაშინ...

მამის აჩრდილი-აზრიც სწორედ ეს არის.

იუბილარი-აზრი? რისი?

მამის აჩრდილი-უბრალოდ აზრი.

იუბილარი-ვერ მივხვდი.

მამის აჩრდილი-მნიშვნელობა არ აქვს. ცოტა დრო მაქვს ჯოჯოხეთში მელიან. ჰმ, დღეს შენი დაბადების დღეააა...

იუბილარი-გახსოვს?

მამის აჩრდილი- რა თქმა უნდა, მოსალოცად გეახელი.

იუბილარი- რატომ მიმატოვე, მიპასუხე რატომ?

მამის აჩრდილი-მე, არასდროს მიმიტოვებხარ.

იუბილარი- ესეიგი არსად არ წასულხარ?

მამის აჩრდილი- სულ შენთან ვარ შვილო!

იუბილარი-სულ ჩემთან?

მამის აჩრდილი- შენს გულში ვარ მუდამ, შენს სულში ვარ, შენს გონებაში.... მე ყოველთვის თვალყურს გადევნებ!

იუბილარი- ყოველთვის?

მამის აჩრდილი-ყოველთვის! დღისით თუ ღამით, წელიწადის ნებისმიერ დროს!

იუბილარი- სულ, სულ ყოველთვის?

მამის აჩრდილი- რა თქმა უნდა, მე ხომ შენში ვცოცხლობ.

იუბილარი- ესეიგი, როცა მძნავს მაშინაც მხედავ?

მამის აჩრდილი-შენ სიზმრებსაც ვხედავ..

იუბილარი- როდესაც ცუდად ვიქცევი მაშინაც მიყურებ მამა?

მამის აჩრდილი- მე შენი სინდისი ვარ.

იუბილარი- რა გამოდის, რომ როცა, მაგალითად ტუალეტში ვარ მაშინაც იქ ხარ?

მამის აჩრდილი-დიახ!

იუბილარი- ესეიგი როცა.... (განწირულად) მამა ოღონდ ეგ არააა!

მამის აჩრდილი- მე ყველაფერს ვხედავ! ბიძაშენს ერიდე შვილო!

იუბილარი-რომელს? დედის მხრიდან, თუ მამის?

მამის აჩრდილი-მამის!

იუბილარი-კი, მაგრამ რატომ?

მამის აჩრდილი-მოვა დრო და გაიგებ ყველაფერს! გავიგე დედაშენს შენი საყვარელი ალუბლის ტორტი გაუკეთებია!

იუბილარი-არ მიყვარს მამა ალუბლის ტორტი...

მამის აჩრდილი-(საათზე იხედება) ახლა უნდა წავიდე...

იუბილარი-არა!

მამის აჩრდილი- დედას დაუჯერე და კარგად ისწავლე!

იუბილარი- მე უკვე მოვრჩი სწავლას მამა, სად წახვედი? სად ხარ? დაბრუნდი! სულ ცოტა ხნით...

(შუქები ინთება, იუბილარი გაშეშებული დგას, თითქოს აზრზე ვერ მოდის რა მოხდა, სტუმრები და დედა ახელენ თვალებს)

მესამე სტუმარი-ხომ ვაბმომბდი სისულელეთაქო!

პირველი სტუმარი-მე თითქოს რაღაც ვიგრძენი

დედა-მართლა? რა?

პირველი სტუმარი-სიტყვებით ვერ ავლწერ, რაღაც შინაგანად.

მესამე სტუმარი- არანაირი სული და სულიერი სამყარო არ არსებობს, ადმიანი კვდება და მორჩა მთავრდება. წყდება სამყაროსთან, როგორც ფიზიოლოგიური, ასევე აზროვნებასთან დაკავშირებული პროცესები. როგორც შემოდგომაზე ფოთოლი ყვითლდება, ისე ყვითლდება ადამიანიც და საბოლოოდ წყდება და ხმება. ეს არის და ეს.

პირველი სტუმარი- სული არსებობს! მე ვიცი, ვგრძნობ! მაგრამ, მათი გამოძახება ნამდვილად შეუძლებელია!

მეორე სტუმარი-ჩვენ უკვე ვყვითლდებით მემგონი ნელ-ნელა. სიყვითლეზე გამახსენდა, (იუბილარს) რა ფერი გაქვს რა დაგემართა? ხომ არ შეგეშინდა?

იუბილარი-არა, კარგად ვარ. მმმეგონა რაღაც მომეჩვენა...

დედა- შემომხედე კარგად, მემგონი მართლა ცუდი ფერი გაქვს. ძირს ნაგდები ხომ არ შეჭამე რამე?

იუბილარი-არა.

პირველი სტუმარი- მართლა მოყვითალო მეჩვენები...

იუბილარი- კარგად ვარ, მადლობა.

დედა-კარგი, თუ კარგად ხარ, მაშინ მოდი, ტორტი გამოვიტანოთ.

(სტუმრები ტაშს შემოჰკრავენ. დედა გადის და ანთებული ტორტი შემოაქვს.)

დედა- აბა, ახლა ჩაიფიქრე სურვილი და ჩააქრე სანთლები! კარგად მოიფიქრე...!

მეორე სტუმარი-ხომ გვეტყვი რა სურვილს ჩაიფიქრებ?

პირველი სტუმარი- თუ გვითხრა არ აუსრულდება...

დედა-მიდი, დახუჭე თვალები!

(ბიჭი ხუჭავს თვალებს, სანამ დედა არ გამოაფხიზლებს.)

დედა-მიდი, ჰა შეუბერე... ერთი... ორი... სამი....

(ბიჭი უბერავს და ვერცერთს ვერ აქრობს.)

დედა-მიდი, უფრო ძლიერად!

(ბიჭი ისევ უბერავს და ისევ ვერ აქრობს.)

პირველი სტუმარი- კარგად ჩაისუნთქე!

(ისევ ვერ აქრობს.)

მეორე სტუმარი-მიდი, მთელი ძალით!

(არაფერი გამოსდის.)

დედა-რა გჭირს? შეუბერე! მიდი შეუბერე...!

იუბილარი-ვუბერავ! ვუბერავ!

დედა- მიდი! უფრო ძლიერად...!

იუბილარი-დედა, არ ქვრება...!

დედა- კიდევ ერთხელ სცადე!

იუბილარი- არაფერი გამოდის!

დედა- მოდი, აბა მე ვცდი.

(დედა შეუბერავს და ეგრევე ყველა ქვრება.)

დედა-ესეც ასე.

(ყველა ულოცავს.)

დედა-მოდი, დავჭრათ... (იუბილარს) აი შუა ნაწილი შენ, როგორც გიყვარს, ბევრი ალუბლით. ეს შენ... ეს შენ... შენ რამხელა მოგიჭრა?

პირველი სტუმარი-პატარა!

დედა-გამაჩერე. ასე?

პირველი სტუმარი-ცოტაც.

დედა-ასე?

პირველი სტუმარი-ცოტაც, ცოტაც... აი საკმარისია, მაძლობ.

(იწყებენ ჭამას.)

მესამე სტუმარი-მართლაც საოცარია, რა ჰაეროვანი კრემია! ეტყობა ხარისხიანი კარაქი. ვანილიც დაამატე?

დედა-ზუსტად ის არის რასაც ბებია აკეთებდა.

პირველი სტუმარი-მემგონი, მე დამატებას მოვითხოვ...

მეორე სტუმარი- (იუბილარს)ისე შეჭამე, იცოდე, უკანასკნელ ტორტს მივირთმევ... რას გაიგებ რა მოხდება ამ ქვეყანაში ხვალ....

დედა- (იუბილარს) შენ რას იტყვი, მოგწონს? (იუბილარს ტორტის კურკა გადასცდება და იხრჩობა) რა დაგემართა?... რა გჭირს?... ვინმემ წყალი მოუტანეთ... დედა, რა მოგივიდა?... მიშველეთ! უშველეთ! დამეხმარეთ ვინმე...! იხრჩობა...! დამეხმარეთ...! მიყურე... მე მიყურე! ისუნთქე, გემუდარები ისუნთქე! ვინმემ სასწრაფოში დარეკეთ! ჩქარა, დარეკეთ! დამეხმარეთ! დამეხმარეთ! გეხვეწები, დედა შემომხედე...! დამელაპარაკე...! გთხოვთ ვინმემ...

(პირველი იწყებს ლოცვას. მეორე ტელეფონთან გარბის. მესამეს წყალი შემოაქვს. ისმის სირენების ხმა. შუქი ქვრება.)

(შუქი ინთება, ისევ ძველი გარემო, ისევ სადღესასწაულოდ გამოწყობილი სტუმრები. სცენის შუაში იუბილარი წევს. დედა მასთან არის ჩამუხლული. ტირის!)

(რექუიემი)

დედა- მოგიკვდეს შვილო დედა! ღმერთო რატომ მე? რატომ მე? რატომ წამართვი ანგელოზივით შვილი? ადექი დედა! გემუდარები ადექი! ჯერ მამაშენი, ახლა შენ? რატომ დამტოვეთ მარტო...? მე შენს მეტი ხომ არავინ არ მყავს... მე ხომ შენთვის ვცოცხლობდი... მე ხომ შენთვის ვსუნთქავდი... რაღა აზრია აქვს ჩემს ცხოვრებას შენ გარეშე? რა უნდა გავაკეთო ახლა...? შენზე ვზრუნავდი, შენზე გული შემტკიოდა, რაღად მინდა ახლა გული? ვისზე ვინერვიულო ახლა? ვის მოვეფერო? აღარავინ აღარ დამრჩა... ღმერთო, რატომ მე არ წამიყვანე მის მაგივრად? შვილი დამიბრუნეთ! გთხოვთ! შვილი დაბიბრუნეთ! რა ლამაზი ხარ ჩემო ბიჭო...! როგორ გიხდებოდა ეს პერანგი...! (უსწორებს პერანგს და კოცნის)

პირველი სტუმარი-ეჰ, არადა როგორ უყვარდა ტორტი...!

ფარდა

